



საქართველოს პრემიერ-მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

№82 2018 წლის 10 აპრილი ქ.თბილისი

წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროსათვის თანხის გამოყოფის თაობაზე

ადამიანის უფლებათა ევროპული სასამართლოს მიერ საქმეზე „ურუმბაძეები საქართველოს წინააღმდეგ“ 2018 წლის 13 თებერვალს გამოტანილი განჩინების აღსრულებისა და საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული გადასახადის დასაფინანსებლად, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ „საქართველოს 2018 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული წინა წლებში წარმოქმნილი დავალიანების დაფარვისა და სასამართლო გადაწყვეტილებების აღსრულების ფონდიდან საქართველოს იუსტიციის სამინისტროს გამოუყოს 7 500 (შვიდი ათას ხუთასი) ევროს ეკვივალენტი ლარი.

გიორგი კვირიკაშვილი

